შპს „სპარკ ქონსთრაქშენ“

„ვამტკიცებ“,
შპს „სპარკ ქონსთრაქშენ“-ის
დირექტორი:
ნ. ბაბუციძე

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ ტერიტორიაზე (ს.კ 01.18.13.039.105), ერთსართულიანი სასაწყობე შენობის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი

2026 წ

ობიექტის მისამართი – ქ. თბილისი დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთი (ს.კ 01.18.13.039.105)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება – სასაწყობე შენობა

ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – IV კლასი

ექსპერტიზის სახე – საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზა

ექსპერტიზის დამნიშნავი – შ.პ.ს. ”არქიკონ”

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ თბილისი დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ ტერიტორიაზე (ს.კ 01.18.13.039.105), ერთსართულიანი სასაწყობე შენობის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტის.

გამოყენებული მასალები:

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი მქსალები:

1. ქ. თბილისი, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ ტერიტორიაზე (ს.კ 01.18.13.039.105), ერთსართულიანი სასაწყობე შენობის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისი, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ ტერიტორიაზე (ს.კ 01.18.13.039.105), ერთსართულიანი სასაწყობე შენობის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისი, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ ტერიტორიაზე (ს.კ 01.18.13.039.105), ერთსართულიანი სასაწყობე შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისი, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ ტერიტორიაზე (ს.კ 01.18.13.039.105), ერთსართულიანი სასაწყობე შენობის კორექტირებული კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები.
5. ტოპოგეგმა

გარდა აღნიშნულისა დასკვნის მომზადებისას გამოყენებული იქნა შემდეგი მასალები:

საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:

– ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“

- ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“
- ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“
- შენობა-ნაგებობების ფუძეები
- სამშენებლო კლიმატოლოგია
- СНиП სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-23-81* – ფოლადის კონსტრუქციები;
- СНиП 2.01.07-85* დატვირთვები და ზემოქმედებები

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

- სეისმიურობა - 8 ბალი
- ქარის ნორმატიული დატვირთვა - 68 კგ/მ^2;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ^2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია „LIRA SAPR-2021“ საფანგარიშო კომპლექსის გამოყენებით სპექტრული მეთოდით.

ჩატარებული გეოლოგიური კვლევების მიხედვით, სამშენებლო მოედნის მახლობლად და მიმდებარედ, საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, კარსტი, სუფოზია და სხვ.) განვითარებული არ არის, ამიტომ, მიწის ნაკვეთი მდგრადია.

სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

ფენა №1 ნაყარი გრუნტი – თიხნარის მასა, სამშენებლო ნარჩენების, აგურის და ბეტონის ნატეხების ჩანართებით, შეუმკვრივებელი. ფენის სიმძლავრე 0,7-4,4 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

ფენა №2 თიხნარი - მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეებით, კენჭნარის ლინზებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენა სამშენებლო მოედანზე ლოკალურად არის გავრცელებული.

ფენა №3 ხრეში - თიხნარის შემავსებლით 30%-მდე, მცირედ ტენიანი. კენჭები მსხვილი და საშუალო ზომის. ძირითადად წარმოდგენილია დანალექი ქანების ნამტვრევებით. მასალა კარგად დამუშავებული და დახარისხებულია, ნაგებობის დაფუძნება ხდება ფენა №3-ზე, ხრეშზე თიხნარის შემავსებლით რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა R0= 4,5 კგ/სმ2

სასაწყობე შენობა

დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ ტერიტორიაზე (ს.კ 01.18.13.039.105), ერთსართულიანი სასაწყობე შენობა გადაწყვეტილია შერეულ კარკასში, კერძოდ მიწისქვედა კონსტრუქციები წარმოადგენს რკინაბეტონის კონსტრუქციას (საძირკვლები), ხოლო მიწისზედა კონსტრუქციები წარმოადგენს ლითონის მზიდ კონსტრუქციას.

შენობის მიწისქვედა ნაწილის მზიდი ელემენტებია:

შენობა დაფუძნებულია ხრეშოვან გრუნტზე - თიხნარის შემავსებლით 30%-მდე, მცირედ ტენიანი. კენჭები მსხვილი და საშუალო ზომის, რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა R0= 4,5 კგ/სმ2

საძირკვლები – რკინაბეტონის ხიმინჯები , რომლებიც შეკრულია შემკრავი კოჭებით. ხიმინჯები ⌀1000 მმ, სიგრძე 10 მეტრი, იგი არმირებულია ⌀18 B500b კლასის არმატურებით. ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25. შემკრავი კოჭები განივი კვეთით 1200X1100 მმ, რომლებიც არმირებულია ⌀18 B500b კლასის არმატურებით. ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

გრუნტზე მოწყობილი იატაკის ფილა - 0.000 ნიშნულზე ეწყობა ერთმაგად არმირებული ფილა სისქით 150 მმ, ბეტონი გამოყენებულია კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით, კლასით B25. იგი არმირებულია ⌀10B500b არმატურებით ბიჯით 200 მმ.

ცოკოლის კედლები ორმაგად არმირებული კედელი სისქით 200 მმ, ბეტონი გამოყენებულია კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით, კლასით B25. იგი არმირებულია ⌀12B500b არმატურებით ბიჯით 200 მმ.

მიწისზედა ლითონის მზიდი ნსტრუქციებია:

სვეტები - HEB 240;

სახურავის ლითონის კოჭები HEB 240

სახურავის გრძივები – შველერი №16

კედლების შევსება და სახურავის ბურულად გამოყენებული სენდვიჩ პანელები.

შენობას გააჩნია ვერტიკალური სიხისტის კავშირები (X ტიპის), კავშირები გადაწყვეტილია მილკვადრატის პროფილით. ანალოგიური ჰორიზონტალური სიხისტის კავშირებია მოწყობილი გადახურვებში.

შენობის ნაწილში ეწყობა ანტრესოლის სართული, რომლის მზიდი ელემენტები ლითონისაა, გრძივი მიმართულებით HEA200, განივი მიმართულებით HEA200. იატაკის ფილა – მონოლითური რკინაბეტონის სისქით 12, სმ, არმირებული ერთ შრეში ⌀10B500b არმატურებით, ბიჯით 200 მმ. ანტრესოლზე ასვლა ხდება ლითონის მზიდ ელემენტებში გადაწყვეტილი კიბის მეშვეობით, ჩანებად გამოყენებულია HEA200., საფეხურებად მილკვადრატი 40X40X4, რომელზედაც ეფარება 4მმ სისქის ლითონის

პერფორირებული ფურცელი.

ტერიტორიაზე ასევე კეთდება საყრდენი კედელი სიგრძით 24მ, სიმაღლით 3,0 მ, საყრდენი კედელი არმირებულია ⌀14B500b, ⌀10B500b კლასის არმატურებით, ბიჯით 200 მმ. საკიდებად გამოყენებულია ⌀8A240c კლასის არმატურები. ბეტონი B25.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოები დაყოფილია ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება " 7' -8' " და "A-E" ღერძებში არსებული ნაწილის მშენებლობა და მეორე ეტაპზე დანარჩენის. ამ მიზნით პროექტში დამუშავებულია აღნიშნულ ღერძებში სამუშაოების მოწყობის ტექნოლოგია. " 7' -8' " და "A-E" ღერძებში ქვაბულის ამოჭრისა და ამ ღერძებზე საძირკვლების მოწყობისას, ხდება არმატურის ნაშვერების დატოვება, მათი შეფუთვა ჰიდროსაიზოლაციო მასალით (რომ არ დაიჟანგოს დატოვებული არმატურები) და შემდეგ ამ არმატურებზე გადაებება დარჩენილი შენობის ნაწილი.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივრის მიმდებარედ ტერიტორიაზე (ს.კ 01.18.13.039.105), ერთსართულიანი სასაწყობე შენობის კონსტრუქციული კორექტირებული პროექტი დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი /თ.გეგეჭკორი/

☎: 555-41-95-08

✉: gegechkori1951@gmail.com

02.03.2026 წ

CV

თამაზ გეგეჭკორი



ეროვნება: ქართველი
სქესი: მამრობითი
დაბადების თარიღი: 10.05.1951 წ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
კონტაქტი: მობ: 555 419 508
E-mail: gegechkori1951@gmail.com

1951 დავიბადე მარტვილის რაიონში.
1968 დავამთავრე თბილისის კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლა.
1973 დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი წარჩინებით და მივიღე ინჟინერ-მშენებლის სპეციალობა.
1973-74 განაწილებით ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად თბილზნიეპის მე-2 არქიტექტურულ სახელოსნოში. ამავე წლებში ვსწავლობდი სეისმომედეგობის ინსტიტუტის ასპირანტურაში დაუსწრებლად.
1977-83 ვმუშაობდი ტიპიური პროექტების ცენტრალური ინსტიტუტის ექსპერტიზის განყოფილებაში ჯგუფის ხელმძღვანელად, მშენებარე ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველად.
1983-98 ვიყავი საქსახპროექტის მე-2 სამშენებლო განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდეგ უფროსი. ამ პერიოდში დაპროექტებული მაქვს რესპუბლიკით მასშტაბით მრავალი სამრეწველო ობიექტი და განხორციელებული მათი მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა.
1991-93 ვმონაწილეობდი მიწისძვრით დაზიანებული სახლების აღწერასა და აღდგენაში.
1994-98 შევასრულეთ ქ. ფოთის პორტის რეკონსრუქციის პროექტი.
2009-11 ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად შ.პ.ს. “ედრი+”-ში.
2011-16 ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად შ.პ.ს. “ჯორჯიან ჰიდრო ფაუერი”-ში.
2016-დღემდე ვმუშაობ შ.პ.ს. “ბალავერ”-ში.
ოჯახური მდგომარეობა : მყავს მეუღლე მანანა გეგეჭკორი, და ვაჟი გიორგი გეგეჭკორი,
ენები: ქართული – მშობლიური; რუსული – სრულყოფილად.

მისამართი : თბილისი, ნუცუბიძის პლატო 2 მ.კ. 1 კვ. 1 კორპ. ბ.50

СВИДЕТЕЛЬСТВО О ПЕРЕМЕНЕ ФАМИЛИИ, ИМЕНИ, ОТЧЕСТВА
გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლის მოწმობა

Гражданин (ка) [illegible] [illegible]

[illegible] [illegible] [illegible]

фамилия, имя, отчество

родившийся (аяся) 10 [illegible] 1957

место рождения [illegible]

переменил (а) фамилию, имя, отчество на [illegible]

[illegible] [illegible] [illegible]

о чем в книге регистрации актов о перемене фамилии, имени, отчества

[illegible]

1982 года [illegible] месяца 10 числа

произведена запись за № 57

Место регистрации [illegible]

наименование и местонахождение органа ЗАГС

[illegible]

Дата выдачи 10. 07 1982

Заведующий отделом (бюро)

записи актов гражданского состояния

[illegible]

I-ТИ № 263478

[illegible]



დიპლომი

ფარნიანებით

ა № 001038

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

У № 001030


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
თამაზ
TAMAZ
გვარი / LAST NAME
გეგეჭკორი
GEGETCHKORI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01010015476
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
10.05.1951
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
25.04.2026
ბარათის No / CARD No
15IB00660
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
მარტვილი
MARTVILI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
25.04.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამცავები: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2015
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE015IB00660701010015476<<<<
5105106M2604251GE0<<<<<<<<<<<1
GEGETCHKORI<<TAMAZ<<<<<<<<<<<<